გაეროს უშიშროების საბჭოს **<u>რეზოლუცია 892 (1993)</u>**

1993 წლის 22 დეკემბერი

უშიშროების საბჭო,

კვლავ ადასტურებს რა თავის 1993 წლის 9 ივლისის 849, 1993 წლის 6 აგვისტოს 854, 1993 წლის 24 აგვისტოს 858, 1993 წლის 19 ოქტომბრის 876 და 1993 წლის 4 ნოემბრის 881 რეზოლუციებს,

კვლავ ადასტურებს რა თავის 1993 წლის 29 სექტემბრის 868 რეზოლუციას გაეროს ოპერაციათა უსაფრთხოების შესახებ,

განიხილა რა გენერალური მდივნის 1993 წლის 16 დეკემბრის წერილი აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, მდგომარეობის შესახებ (S\26901),

ცნობად იღებს გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის 1993 წლის 9 დეკემბრის წერილს გენერალური მდივნის სახელზე, რომელიც ერთვოდა ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ჟენევაში 1993 წლის 1 დეკემბერს ხელმოწერილ გაგების მემორანდუმს (S/26875),

მიესალმება გაგების მემორანდუმის ხელმოწერას (S\26875),

ცნობად იღებს, რომ გაგების მემორანდუმის მხარეები თვლიან, რომ მშვიდობის შენარჩუნება ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ყოფნის გაზრდას კონფლიქტის ზონაში,

ცნობად იღებს, რომ 1993 წლის 15-16 დეკემბერს მოსკოვში მოეწყო მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი მხარეთა შორის ექსპერტთა დონეზე და რომ განზრახულია ჟენევაში 1994 წლის 11 იანვრს გაიმართოს კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის მიზნით მოლაპარაკებათა კიდევ ერთი რაუნდი,

აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის მიღწეულია იმედისმომცემი პროგრესი, რომელიც ამართლებს გაეროს მხვრივ დამატებით სამხედრო მეთვალყურეთა განლაგებას,

აღნიშნავს, აგრეთვე, 1993 წლის 30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს რომში გამართული ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჩარჩოებში მინისტრთა შეხვედრის გადაწყვეტილებას და მიესალმება გაეროსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემდგომ თანამშრომლობას ამ საკითხში,

არის ღრმად შეშფოთებული საქართველოში ჰუმანიტარული სიტუაციით, კერძოდ, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა რაოდენობით,

1. კმაყოფილებით აღნიშნავს გენერალური მდივნის 1993 წლის 16 დეკემბრის (S\26901) წერილს;

2. სანქციას აძლევს გაეროს მეთვალყურეთა მისიას საქართველოში დამატებით 50-მდე სამხედრო მეთვალყურის ეტაპობრივ განლაგების თაობაზე, როგორც რეკომენდებულია გენერალური მდივნის მიერ თავის წერილში (S\26901), უშიშროების საბჭოს 881 რეზოლუციის მე-4 პუნქტში მოცემული ფუნქციების შესასრულებლად და, ამდენად, მხარეთა მიერ 1993 წლის 1 დეკემბრის გაგების მემორანდუმის დებულებათა შესრულების ხელშეწყობისათვის და სთხოვს გენერალურ მდივანს, აცნობოს საბჭოს, რა მოვალეობები ექნებათ გენერალური მდივნის აღნიშნულ წერილში (S\26901) მოხსენებულ იმ ახალ მეთვალყურეებს, რომლებიც თავდაპირველი 10 მეთვალყურის გარდა განლაგდებიან კონფლიქტის ზონაში.

3. აღნიშნავს გენერალური მდივნის განზრახვას დამატებით გააფართოოს საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისია, განახორციელოს დაგეგმვა და მომზადება პერსონალის ოპერატიული განლაგების უზრუნველსაყოფად, თუ ეს გამართლებული იქნება ადგილზე შექმნილი მდგომარეობითა და მოლაპარაკებათა მიმდინარეობით;

4. გამოხატავს თავის მზადყოფნას გადასინჯოს საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის ამჟამინდელი მანდატი ნებისმიერი პროგრესის გათვალისწინებით, რომელიც მიღწეულია ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების ხელშეწყობის მიმართულებით და გენერალური მდივნის მოხსენებაში, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს 1994 წლის იანვრის ბოლოს; ამ მოხ-

სენებაში ასახული უნდა იყოს, კერძოდ, კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უნდა გაატაროს საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიამ, მისიის მუშაობის პერსპექტივები და მოსალოდნელი დანახარჯები ადგილზე შექმნილი მდგომარეობისა და მოლაპარაკებათა მიმდინარეობის გათვალისწინებით;

5. დაბეჯითებით მოუწოდა მხარეებს სრულად დაიცვან გაგების მემორანდუმით ნაკისრი ყველა ვალდებულება, კერძოდ, გაგების მემორანდუმის პირველი პუნქტი, რომელიც მიღებულია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების ძირითადი დებულებების შესაბამისად;

6. აგრეთვე დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს გაატარონ ყველა აუცილებელი ღონისძიება საქართველოში გაეროს მისიის პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მიესალმება რუსეთის ფედერაციის მთავრობის მზადყოფნას დაეხმაროს გენერალურ მდივანს ამ მიმართებით;

7. დაბეჯითებით მოუწოდებს, აგრეთვე, მხარეებს მთლიანად შეასრულონ გაგების მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებები, ლტოლვილთა თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობით, უსაფრთხოდ და სწრაფად დაბრუნების პირობების შესაქმნელად და კონფლიქტის ყველა მსხვერპლისათვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის მხარდასაჭერად;

8. დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს, აგრეთვე, არ გადადგან არავითარი პოლიტიკური ან რაიმე სხვა ნაბიჯი, რომლებსაც შეუძლიათ გააუარესონ არსებული სიტუაცია ან ხელი შეუშალონ ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების პროცესს;

9. მოუწოდებს დონორ სახელმწიფოებს შეიტანონ საწევრო ჰუმანიტარული დახმარების შესახებ გაეროს მოწოდების შესაბამისად;

10. ადგენს კვლავ აქტიურად იმუშაოს ამ საკითხზე.

(www.un.org/docs. საკუთარი თარგმანი)